ევროპული პარლამენტისა და ევროპული კავშირის საბჭოს 2009/138/EC დირექტივის იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში - გატარებული და გასატარებელი ღონისძიებები

თორნიკე გეწაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნეს სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე დევიძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე გეწაძე

30.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ევროპული პარლამენტისა და ევროპული კავშირის საბჭოს 2009/138/EC დირექტივის საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციის თავისებურებები. ნაშრომი მოიცავს დირექტივისა და მისი იმპლემენტაციის თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევას, რომლის საფუძველზეც ირკვევა, რომ დირექტივის დებულებების ქართულ კანონმდებლობაში დანერგვას მოჰყვება, ერთი მხრივ, პოზიტიური შედეგი იმ თვალსაზრისით, რომ დამკვიდრდება დამზღვევის, როგორც მომხმარებლის დაცვის მაღალი სტანდარტი. ზემოაღნიშნული უკავშირდება სადაზღვევო ზედამხედველობასთან დაკავშირებული ისეთი სტანდარტების დამკვიდრებას, რომელიც შესაძლოა არ იყოს ოპტიმალური სადაზღვევო ბიზნესის განვითარებისთვის. ამასთან, კვლევიდან ირკვევა, რომ ქართული კანონმდებლობის დირექტივიდან იმპლემენტირებული ნაწილი ვრცელდება ყველა სადაზღვევო და გადამზღვევ კომპანიაზე მიუხედავად მათი ფინანსური მონაცემებისა, როდესაც 2009/138/EC დირექტივის მიხედვით, მისი დებულებები ვრცელდება სადაზღვევო და გადამზღვევ კომპანიათა გარკვეულ წრეზე. შესაბამისად, კვლევის საფუძველზე შემოთავაზებულია დირექტივის შემდგომი იმპლემენტაციის ოპტიმალური მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, გამარტივებულ სამართლებრივ გარემოს ნაკლები შემოსავლების მქონე სადაზღვევო კომპანიების ფუნქციონირებისთვის და მეორე მხრივ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ვიდრე ეს დირექტივითა გათვალისწინებული.